ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს სხდომა #20

2018 წლის 21 ივნისს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით მეოცე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა დელეგატთა უმრავლესობა. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე.

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერისადმი მიმართვის წერილის განხილვა.
2. 2017 წლის ბიუჯეტის შემაჯამებელი დასკვნა-რეკომენდაციების საბოლოო ვერსიის დამტკიცება.
3. სხდომის შეჯამება.

2018 წლის 21 ივნისის შეხვედრაზე მრჩეველთა საბჭოს დელეგატებმა იმსჯელეს მიმართვის ტექსტსა და ფორმაზე, რომელიც მოიცავდა საზოგადოებრივი ტუალეტების არსებობას ქალაქში და ასევე რუსთავის ტექნიკური წყლით მომარაგების პრობლემის აღმოფხვრას. საბჭოს მიერ ხმათა უმრავლესობით განისაზღვრა და დამტკიცდა მიმართვის საბოლოო ფორმა, რომელიც ქ.რუსთავის მერს გადაეგზავნება.

სხდომის მეორე ნაწილში დელეგატებმა შეიმუშავეს და დაამტკიცეს 2017 წლის ბიუჯეტის შემაჯამებელი-დასკვნითი რეკომენდაციები. დისკუსიის შემდეგ, კონსესუსის საფუძველზე ხმათა უმრავლესობით მიიღეს ქ.რუსთავის მერისათვის გადასაგზავნი რეკომენდაციების საბოლოო ვერსია.

სხდომის დასასრულს მოხდა შეხვედრის შეჯამება. შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 09.07.2018 წ. საღამოს 19:00 სთ.-ზე. განსახილველ თემას წარმოადგენს ბაღების გაერთიანების სისტება-მუშაობის ხარვეზები, პრობლემის აღმოფხვრის გზები.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 21.06.2018 წ.